

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 16.04.2018 დადგენილებით № 20



ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების მეთოდოლოგია წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ცალკეული კატეგორიის სტუდენტებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვა და შესაბამისი სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის:

1. სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების ინტერესებს, განსხვავებულ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიური მომზადების დონეს.
2. სსსმ და შშმ სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ეხმარება მათ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას სტუდენტზე/პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით.

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოქმედება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ხანგრძლივ ავადმყოფობაში მყოფი სტუდენტებისთვის, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე/გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის, მობილობით/შიდა მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის, აკადემიური ჩამორჩენილობის ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე, დასაქმებული სტუდენტებისთვის, თვითმმართველობის წევრი სტუდენტებისთვის, სტატუსადგენილი, მსჯავრდებული სტუდენტებისთვის, მაგისტრატურის სტუდენტებისთვის მათი კვლევითი კომპონენტის საჭიროებებიდან გამომდინარე, უწყვეტი განათლების ცენტრის, ფაკულტეტის დეკანის/პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის მოტივირებული

შუამდგომლობის საფუძველზე, როგორც გამონაკლისი, აკადემიური საბჭოს დადგენილებით პერსონალურად შესაძლებელია სხვა კატეგორიის სტუდენტის/ პროფესიული სტუდენტის გადაყვანა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე.

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და მისი ეტაპები.

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება ერთი სტუდენტისათვის და ის უნდა იყოს კონკრეტული სტუდენტისათვის განკუთვნილი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/დამტკიცებაში ჩართულია უწყვეტი განათლების ცენტრი, დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო/პროფესიული განათლების განვითარების სამსახური.
2. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შეიძლება მითითებულ იქნეს სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სწავლების სემესტრი, სწავლა- სწავლების, შეფასების სათანადო ფორმები და პირობები, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები მატერიალური რესურსის მიმართ და სხვ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი 5 ეტაპისგან:
 - ა) ინფორმაციის შეგროვება;
 - ბ) მიმართულების განსაზღვრა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
 - გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება;
 - დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა (გადაფასება) და საჭიროებისამებრ განახლება.

მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების პროცედურა.

1. ისგ-ს შესამუშავებლად სსსმ სტუდენტმა უნდა მიმართოს უწყვეტი განათლების ცენტრს/მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ცენტრს, რომელიც სტუდენტის საჭიროებისა და სასწავლო უნივერსიტეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ინფორმაციას მიაწვდის დეკანატს. დეკანატი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობითა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით შეიმუშავებს ისგ, რომელიც დაეყრდნობა სტუდენტის შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების შეფასებას და შესაბამისად განისაზღვრება ის მეთოდები, საშუალებები, რომელთა დახმარებით სტუდენტი მიაღწევს პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და



სწავლის შედეგებს. (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ისგ გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის. ისგ ფარგლებში სსსმ სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან მიმართებით.

2. ისგ-ს შემუშავება ხრციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.
3. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით, რაც გულისხმობს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არა უმეტეს 25 საათისა.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის ისგ საჭიროებისას:

ა) სტუდენტმა განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით უნდა წარადგინოს რექტორის სახელზე, განცხადება შესასრულებლად გადაეცემა უწყვეტი განათლების ცენტრს, რომელიც ინფორმაციას აწვდის ფაკულტეტის დეკანს. დეკანი ამზადებს დასკვნას პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. დასკვნა წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და მიღებული რეკომენდაციების (არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით წარედგინება განსახილველად ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) საბჭოს. საბჭოს მიერ ისგ დამტკიცების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ასახვას სასწავლო პროცესში.

ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/დამტკიცება უნდა დასრულდეს შესამამისი სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში.



5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ეტაპები შინაარსობრივად გულისმობს:

ა) ინფორმაციის შეგროვებას სტუდენტის საჭიროებისამებრ, კერძოდ - ჯანმრთელობის ცნობის, ათვისებული სასწავლო კურსების შესახებ ჩამონათვალის, სამსახურის ცნობას;

ბ) შეგროვებული დეტალური ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი პროგრამის, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, კრედიტების რაოდენობის, სემესტრის, სტუდენტის სასწავლო განრიგის და სასწავლო დატვირთვის განსაზღვრას;

გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას ანუ დინამიურ პროცესს, მონიტორინგს ახორციელებენ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორი. სტუდენტის შეფასება ხორციელდება შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული წესით და სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემით;

დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა და განახლება, წარმოადგენს ინდივიდუალურ პროცესს და ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიმდინარეობის მიხედვით. ამ დროს ხორციელდება სტუდენტის მიღწევების შეფასება და განსაზღვრა, რამდენად უახლოვდება სტუდენტი დაგეგმილ შედეგს.

ე) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეცვლის შემთხვევაში, ყოველი განსაზღვრული ცვლილება აისახება შესაბამისი სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტებისთვის ისგ საჭიროებისას:

ა) პროფესიულმა სტუდენტმა განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით უნდა წარადგინოს რექტორის სახელზე, განცხადება შესასრულებლად გადაეცემა უწყვეტი განათლების ცენტრს, რომელიც ინფორმაციას აწვდის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს. პროფესიული განათლების განვითარების სამსახური ამზადებს დასკვნას პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად. დასკვნა წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და მიღებული რეკომენდაციების (არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით პროფესიული განათლების განვითარების სამსახურსი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ასახვას სასწავლო პროცესში.



ბ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული პროგრამის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ ინფორმაციას პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს წერილობით აცნობებს პროფესიული განათლების მასწავლებელი. ისგ შედგენისას პროფესიული განათლების მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით

